საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე მიტროპოლიტი

იოანე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ნიკოლოზ გიორგის ძე მ ა რ ღ ი შ ვ ი ლი) (1874, გორი, – 13. XI. 1929), სასულიერო მოღვაწე. გორის სას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გორის და შემდგომ ყიზლარის ტაძრის საეკლ.-სამრევლო სასწავლებელში. 1900 წ. 28 ოქტომბერს ბერად აღიკვეცა. 1901 წ. 28 იანვარს მღვდელმონაზვნად აკურთხეს. 1904 სწავლა გააგრძელა ქუთაისის და შემდეგ თბილ. სას. სემინარიაში. 1910–14 სწავლობდა მოსკოვის სას. აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1915 გორის სას. სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. იმავე წლის 29 აგვისტოს მიენიჭა არქიმანდრიტის პატივი. 1919 სოხუმში მოღვაწეობდა. 1921 წ. 15 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით ებოძა ეპისკოპოსის ხარისხი და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი გახდა.

ი. მ-ის ეპარქიაში მოღვაწეობა ძალზე რთულ პერიოდს დაემთხვა; საქართველოს სახელმწიფომ დაკარგა დამოუკიდებლობა. რუსეთის ეკლესია ეწინააღმდეგებოდა და კანონიერად არ ცნობდა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის რუსი სამღვდელოება მღვდელმთავარს ეპარქიის ეკლესია-მონასტრების კუთვნილებაში ეცილებოდა. ი. მ. დაუღალავად იღვწოდა ეპარქიაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციების განმტკიცებისთვის. მიტროპოლიტის პატივის მინიჭების შემდგომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ალავერდის ეპარქიის დროებით მმართველად გადაიყვანეს.

1926 წ. 20 ოქტომბერს თავისივე თხოვნის საფუძველზე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, მაგრამ გარკვეული პირობების შეუსრულებლობის გამო 1927 წ. 3 მარტს ი. მ. დაკავებული თანამდებობიდან

გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ორი თვით რუსეთში გაემგზავრა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1928 წ. 20 ოქტომბერს, ბოდბის ეპარქიის მმართველად დაინიშნა, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. დაკრძალულია თბილ. სიონის ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994.

თ. მარგველაშვილი